საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 187 2022 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №451 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №451 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების“:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის სხდომების ორგანიზება;

ბ) საქართველოს მთავრობის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენა;

გ) საქართველოს მთავრობის, მათ შორის, დისტანციურად, „ელექტრონული მთავრობის“, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოების სხდომების გამართვის უზრუნველყოფა;

დ) საქართველოს მთავრობის, მათ შორის, დისტანციურად, „ელექტრონული მთავრობის“, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმოსაწერად მომზადებულ აქტებთან, ოქმებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, აღრიცხვა-სისტემატიზაცია;

ე) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ერთიანი საქმისწარმოებისა და ცენტრალიზებული დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა;

ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მართვა. საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვა;

ზ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის არქივის წარმოება;

ი) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის შესაბამისი მოადგილის ცალკეულ დავალებათა შესრულება.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს მთავრობის სხდომის დღის წესრიგის, მათ შორის, დისტანციურად, შესაბამისი განსახილველი პროექტების „ელექტრონული

მთავრობის“ პროგრამაში ფორმირებასა (სამთავრობო ვებგვერდი – ttp://meeting.geo.gov.ge) და დაგზავნას;“;

ბ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს მთავრობის სხდომებზე, მათ შორის, დისტანციურად, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მიერ გასამართ შეხვედრებზე, თათბირებზე დამსწრე პირთა მოწვევას, სიების ფორმირებასა და რეგისტრაციას, დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების შედგენას;“;

ბ.გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს მთავრობის სხდომებზე, მათ შორის, დისტანციურად, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში მიღებული/შეთანხმებული სამართლებრივი აქტების პროექტების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების პროექტების პასპორტების მომზადებას;“;

ბ.დ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს მთავრობის სხდომების (მათ შორის, დისტანციურად, „ელექტრონული მთავრობის“ სხდომის), სამთავრობო კომისიის, საბჭოს სხდომების, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მიერ გამართული შეხვედრების ოქმების მომზადებას, გაფორმებას, ოქმებისა და ოქმის ამონაწერების შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში გასაგზავნად მომზადებას;“;

ბ.ე) „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.ვ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;“;

გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ირაკლი ღარიბაშვილი